თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 9 ნოემბერი. 16 600 მაყურებელი.

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მოსკოვი) 1:2 (0:1).

თბილისი. გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მიქაბერიძე, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, რევიშვილი, ჩელებაძე, მესხი (გურული, 46)

მოსკოვი: პრუდნიკოვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, დობროვოლკსი, ბულანოვი, ვასილიევი (მოლოდცოვი, 88), კოლივანოვი (კობელევი, 80), კარატაევი, ბოროდიუკი.

მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი).

გოლები: ბოროდიუკი (82), კოლივანოვი (69), ჩელებაძე (78, პენალტით).

გააფრთხილეს მესხი, გაბელია, ვასილიევი, ბულანოვი, კეტაშვილი, პოზდნიაკოვი.

დუბლიორები - 1:0. გოლი გაიტანა მიქაშავიძემ.

სტადიონზე მოსული 16 600 მაყურებელი ისევ გაწბილებული ტოვებდა ტრიბუნას. თბილისის „დინამომ“ კვლავ გული დასწყვიტა თავის ქომაგებს. ამჯერად ვერ ვიტყვით, რომ დინამოელებს მონდომება აკლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ზედმეტი ნერვიულობით, მეტოქე გუნდის მოთამაშეებთან ყოველი შეჯახების შემდეგ გაუთავებელი კინკლაობითა და უხეშობით გამოიხატა. ერთი სიტყვით, თბილისელებმა გამოავლინეს ყოველივე ის, რასაც ყოველთვის განსაკუთრებით კიცხავდა ქართველი გულშემატკივარი, რაც არ მიესადაგება ჩვენს ბუნებას და საერთოდ, არ ახასიათებს ჩვენს გუნდს. ამის შედეგი იყო, რომ თბილისელებმა სამი გაფრთხილება მიიღეს. გაფრთხილებათა რაოდენობა შეიძლება მეტიც ყოფილიყო, რომ არა არბიტრის, მინსკელი ვადიმ ჟუკის მეტისმეტი ლიბერალობა. სხვა მსაჯს შეიძლება წითელი ბარათიც „გაემეტებინა“ თბილისელთა ზოგიერთი მოთამაშისთვის, განსაკუთრებით კეტაშვილისთვის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მსგავსი თავხედობა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შემთხვევითი არ არის. კოლექტივში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ თვით სიტყვა „კოლექტივის“ ხმარება ცოტა საჩოთიროც კი გახდა. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

ის, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოდან გამგზავრების წინ ქუთაისში მოპოვებული ორი ქულით არ აპირებდა დაკმაყოფილებას, შეხვედრის დასაწყისშივე გამოჩნდა და, ვფიქრობთ, ეს დინამოელებსაც უნდა ეგრძნოთ. რა დაუპირისპირეს თბილისელებმა მეტოქე გუნდის სურვილს? ფაქტიურად, გონივრული ვერაფერი, პირიქით, სწორედ ისეთი მანერით წარმართეს თამაში, როგორც მოსკოვის „დინამოს“ აძლევდა ხელს.

სტუმრებმა პირველსავე წუთებზე განახორციელეს ორი მწვავე შეტევა, რომლებიც მე-5 წუთზე ბულანოვმა და მე-11 წუთზე ბოროდიუკმა საკმაოდ სახიფათო დარტყმებით დააბოლოვეს. მასპინძლები შეტევის დროს ჯიუტად აწოდებდნენ მაღალ ბურთებს

მეტოქის კარისკენ ზურგით მდგარ ჩელებაძეს. ამ ბოლო ხანს რევაზის თამაში სულ უფრო ემსგავსება წყალბურთის ცენტრალური თავდამსხმელის მოთამაშის მოქმედებას, არადა, ის რაც მისაღები და შეიძლება სასარგებლოც იყოს წყალბურთში, ფეხბურთისთვის უმეტეს შემთხვევაში, მიუღებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩივაძე ამ შეხვედრაში ჩვენი „შტატიანი“ ცენტრფორვარდის გვერდით თამაშობდა და, შეიძლება ითქვას, მეორე ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებს ასრულებდა. ამ გადაადგილებამ თბილისელთა შეტევას ვერაფერი შემატა, დაცვას კი ბევრი დააკლო. ასევე ტაქტიკურად არასწორად მოქმედებდნენ სულაქველიძე და ჭედია.

ამის ილუსტრაციაა პირველი გოლი თბილისელთა კარში. მოსკოველებმა საკუთარი საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან აართვეს ბურთი მეტოქეს, კარატაევმა გრძელი პასით წინ გაიყვანა ბოროდიუკი, რომელმაც თითქმის ორმოცი მეტრი ირბინა მარტომ, გაბელიას პირისპირ გავიდა და მშვიდად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა. ეს მოხდა მატჩის 32-ე წუთზე. ორი წუთის შემდეგ კი დაახლოებით იგივე სურათი გამეორდა იმავე მოქმედ პირთა მონაწილეობით, მაგრამ ამჯერად თბილისელთა კარი ძელმა იხსნა.

თბილისელები განაგრძობდნენ მოსკოველთა კარის მოჩვენებით შტურმს. მოჩვენებითს იმიტომ , რომ მათს აქტიურობას რეალური საგოლე მომენტი პრაქტიკულად არ მოჰყოლია. კვლავ გულის გამაწვრილებელი, უიმედო ჩაწოდებები საჯარიმო მოედნის ცენტრში და მომაბეზრებელი ერთფეროვნება სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთის გათამაშებისას. მოსკოველები, თავის მხრივ, ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ კონტრშეტევაზე გადასასვლელად და მათი თითქმის ყოველი გამოჩენა მასპინძელთა ნახევარზე ხიფათით ემუქრებოდა გაბელიას კარს. აქედან გამომდინარე, მოულოდნელი არ ყოფილა თბილისელთა კარში კოლივანოვის მიერ 69-ე წუთზე გატანილი მეორე გოლი.

თბილისელებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ 73-ე წუთზე ერთი ბურთი გაქვითეს: ჩელებაძემ ოსტატურად გამოიყენა გურულის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დანიშნული პენალტი.

ახლა თბილისის „დინამოს“ სტუმრად ორი მატჩი ელის ოდესასა და დნეპროპეტროვსკში, ჩვენს გუნდს ძალიან გაუჭირდება პირველ ხუთეულში ადგილის დაკავება. ე.ი. კიდევ გადაიდო (რამდენი ხნით?) ევროპის ტურნირებში მონაწილეობაზე ოცნების განხორციელება. თუმცა, ვინ იცის, იქნებ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა „ზოგი ჭირი მარგებელია“. ქართული ფეხბურთის პრესტიჟისთვის იქნებ, არც იყოს სასარგებლო ასეთი გუნდის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა?!

ზურაბ ფოცხვერია
ლელო 11.11.1986